ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 17 მაისს სხდომის

ოქმი N 8

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 17 მაისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 28.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსთვის კანდიდატურების შერჩევის კრიტერიუმების დადგენა
2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსთვის კანდიდატურების შერჩევა
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსთვის კანდიდატურების შერჩევის კრიტერიუმების დადგენა. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ ფაკულტეტს მხოლოდ 2 წევრის წარდგენის უფლება ჰქონდა სადისერტაციო საბჭოში და შესთავაზა მათ კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმად განეხილათ მის მიერ საბჭოს წევრებისთვის განსახილველად წინასწარ დაგზავნილი მინიმალური კრიტერიუმი - კანდიდატს უნდა ჰქონოდა 2 იმპაქტ-ფაქტორის მქონე სტატია მაინც ბოლო 5 წელიწადში. ამასთან დაკავშირებით გაიმართა სჯა-ბაასი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორი დ.კერესელიძე დაინტერესდა საბჭოს წევრების რაოდენობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან. პროფესორი ა.გამყრელიძე დაინტერესდა, გარკვეულია თუ არა საბჭოს წევრთა მოვალეობები, რაზეც საბჭოს თვმჯდომარემ უპასუხა, რომ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო ანიჭებს დოქტორის ხარისხს დარგობრივი კომისიების ან ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, ასევე ამოწმებს სადისერტაციო ნაშრომს პლაგიატზე. აზრი გამოთქვა პროფესორმა ნ.შათაშვილმაც. ა.გამყრელიძემ განაგრძო მსჯელობა, რომ ვისაც შევარჩევთ, მან უნდა იმუშაოს დარგობრივ კომისიებთან და მერე მიაწოდოს ინფორმაცია სადისერტაციო საბჭოს. შემდეგ მან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია კანდიდატი ახალგაზრდა და ენერგიული იყოს, რამაც არაერთგაროვანი რეაქცია გამოიწვია საბჭოს წევრთა შორის. პროფესორმა გ.ღვედაშვილმა შენიშნა, რომ სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აუცილებლად უნდა დაესწროს, როცა შესაბამისი დარგის დოქტორანტის საკითხი განიხილება. სასურველია, რომ მთელი კომისიაც დაესწროს. პროფესორმა ნ.შათაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული ორი კანდიდატის წარდგენის შემდეგ კიდევ მოხდება საბჭოს წევრთა გადარჩევა და, რადგან ინსტიტუტებიდან მაღალი დონის მეცნიერები არიან წარდგენილნი, ფაკულტეტის კანდიდატები კონკურენტუნარიანები უნდა იყვნენ. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა დ.ძიძიგურმა და ნ.ელიზბარაშვილმა. ამ უკანასკნელმა

წუხილი გამოთქვა, რომ ზემოთქმული სტანტარტით (2 იმპაქტ-ფაქტორიანი სტატია ბოლო 5 წელიწადში) შერჩეული კანდიდატი გეოგრაფიის და გეოლოგიის ინტერესებს ვერ დაიცავს.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კვლავ შესთავაზა საბჭოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი ერთადერთი კრიტერიუმისათვის - 2 იმპაქტ-ფაქტორიანი სტატია ბოლო 5 წელიწადში.

ჩატარდა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: თსუ დისერტაციო საბჭოს წევრებად 2 კანდიდატურა შეირჩეს შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით - უნდა ჰქონდეთ 2 იმპაქტ-ფაქტორიანი სტატია ბოლო 5 წელიწადში.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსთვის კანდიდატურების შერჩევა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაესახელებინათ კანდიდატურები საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსთვის. საბჭოს წევრებმა დაასახელეს კანდიდატურები. მათ შორის ორი საუკეთესოს გამოსავლენად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: ხმათა უბრალო უმრავლესობით შეირჩა ორი კანდიდატი: პროფესორი ელიზბარ ნადარაია (20 ხმა) და პროფესორი ალექსანდრე შენგელაია (11 ხმა).

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრებად წარადგინონ პროფესორი ელიზბარ ნადარაია და პროფესორი ალექსანდრე შენგელაია.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები. აქ განსახილველად გამოტანილი იყო ორი საკითხი:

ა) გამოთვლითი ფიზიკის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომელთა დამატების შესახებ;

ბ) გენეტიკის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომელთა ახალი შემადგენლობით დანიშვნის შესახებ.

ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა რ.ინწკირველმა საბჭოს წევრებს გააცნო გამოთვლითი ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, ემირიტუს პროფესორის რევაზ ზარიძის განცხადება იმის შესახებ, რომ ინსტიტუტის თანამსრომლებს, რომლებიც დანიშნულნი არიან 2019 წლის 20 მარტამდე, დაემატოს ახალი თანამშრომლები თანდართული სიის მიხედვით. ქ-მა რუსუდანმა ასევე წარმოადგინა გენეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ თეიმურაზ ლეჟავას განცხადება თხოვნით, რომ ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცოს ინსტიტუტის თანამშრომელთა განახლებული შემადგენლობა და შუამდგომლობა გაუწიოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, რათა აღნიშნული თანამშრომლები დაინიშნონ შესაბამის თანამდებობებზე ერთი წლის ვადით, ანაზღაურების გარეშე (იხ. დანართები 1).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წინადადებას გამოთვლითი ფიზიკის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომელთა დამატების შესახებ, ასევე წინადადებას, რომ ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცოს გენეტიკის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომელთა განახლებული შემადგენლობა და შუამდგომლობა გაუწიოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, რათა აღნიშნული თანამშრომლები დაინიშნონ შესაბამის თანამდებობებზე ერთი წლის ვადით, ანაზღაურების გარეშე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს:

ა) თსუ გამოთვლითი ფიზიკის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლებს, რომლებიც დანიშნულნი არიან 2019 წლის 20 მარტამდე, დაემატოს ახალი თანამშრომლები თანდართული სიის მიხედვით.;

ბ) დამტკიცდეს თსუ გენეტიკის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომელთა განახლებული შემადგენლობა და შუამდგომლობა გაეწიოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, რათა აღნიშნული თანამშრომლები დაინიშნონ შესაბამის თანამდებობებზე ერთი წლის ვადით, ანაზღაურების გარეშე.
(იხ. დანართები 1).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი